



## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

### ოქმი N9

ქ. ლანჩხუთი

28. 07. 2020 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვამე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია.

**მოწვეული სტუმრები:** მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის ადმინისტრაციული და

შესყიდვების სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) ელიკო იმნაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის მომართვის საფუძველზე დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებულ მეექვსე და მეშვიდე საკითხზე მომხსენებლად განსაზღვრულია მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) ელიკო იმნაძე.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/*

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი მაგული კუნჭულია/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით,

სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/*

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი ეკა გუჯაბიძე/*

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ელიკო იმნაძე/*

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი ელიკო იმნაძე/*

8. სხვადასხვა საკითხები.

**საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 23 ივნისის 1049 განკარგულებით შევიდა

ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებაში (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ), ცვლილების შედეგად შემცირდა გზის კაპიტალური (ორგ.კოდი 02 01 01) შეკეთების სამუშაოები 19492 ლარით, მ.შ ცენტრალური დაფინანსება 18549 ლარით. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (ორგ.კოდი 02 04 02) 56182 ლარით, მ.შ ცენტრალური 53373 ლარი. კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში (ორგ.კოდი 02 03 02) 28985 ლარით, მ.შ ცენტრალური 27536 ლარი. კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში (ორგ.კოდი 05 01 03) 6342 ლარით, მ.შ ცენტრალური 6024 ლარი, შემცირებების ხარჯზე გაიზარდა წყლის სისტემის რეაბილიტაცია (ორგ.კოდი 02 02 01) 357580 ლარით, მ.შ ცენტრალური 339701 ლარი.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე**.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 02 ივლისის N1133 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2020 წლის 20 თებერვლის NN325 განკარგულებაში და მუნიციპალიტეტს დამატებით გამოიყო 1 000 000 ლარი, რომელიც მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წერილობითი წინადადების თანახმად მიიმართება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობაზე (ორგ.კოდი 02 09). აღნიშნული ღონისძიებები უნდა აისახოს ბიუჯეტში როგორც შემოსავლის, ისე ხარჯვით ნაწილში.

მიმდინარე წელს COVID 19 პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს ეკონომიკური ზრდის (მ.შ.პ. რეალური ზრდის განახლებული პროგნოზი - 4%) და საგადასახადო შემოსავლის პროგნოზი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მუნიციპალიტეტების კუთვნილი დამატებითი ღირებულების გადასახადის პროცენტული განაწილების გათვალისწინებით, 2020 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საგადასახადო შემოსავლების საორიენტაციო მაჩვენებელი შემცირდა 1113.9 ათასი ლარით და განახლებული მაჩვენებელი 7794.6 ათას ლარს შეადგენს, მ.შ კუთვნილი დ.ღ.გ-ს განახლებული საორიენტაციო საპროგნოზო მაჩვენებელი 6494.6 ათას ლარს, ასევე, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი განისაზღვრა 260.0 ათასი ლარით ნაკლები და განისაზღვრა 9.7 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 09 იანვრის NN27 განკარგულებით (ფაქტობრივად არ განხორციელებულა ტრანსპორტირება) მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი შემცირდა 254973 ლარით.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე**.

განვლილი საფინანსო პერიოდის ანალიზის შედეგად მიზანშეწოლილია 2020 წლის ბიუჯეტში შემცირდეს გადასახდელები, კერძოდ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქონელი და მომსახურების მუხლი 5000 ლარით, სოც. უზრუნველყოფის მუხლი 10000 ლარით; მუნიციპალიტეტის მერიის საქონელი და მომსახურების მუხლი 10000 ლარით,

სოც. უზრუნველყოფის მუხლი 10000 ლარით, ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლი 1200 ლარით, ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციული ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლი 100400 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლი 15000 ლარით და სხვა ხარჯების მუხლი 20000 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება 45000 ლარით, მ.შ არაფინანსური აქტივები 13400 ლარი და საქონელი და მომსახურება 31600 ლარით. განათლების ღონისძიებების 3000 ლარით, კულტურის ღონისძიებები 7000 ლარით.

აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების მიზნით მიზანშეწონილია გაიზარდოს: 150000 ლარით საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა, (ვიდეო კამერების ინტერნეტით მომსახურების) მიზნით გაიზარდოს საგზაო ნიშნების და უსაფრთხოების ღონისძიება (ორგ.კოდი 02 01 03) საქონელი და მომსახურების მუხლი 14400 ლარით, წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის მუხლი 45000 ლარით. უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებისათვის (ორგ.კოდი 03 04) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 10000 ლარით, ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის საქონელი და მომსახურების ხარჯი 130000 ლარით, ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსება 29600 ლარით, „შპს ლანჩხუთის“ დაფინანსება გაიზარდოს 20000 ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლების (კაპიტალურის ჩათვლით) შემცირებისა და ცალკეული ღონისძიებების ხარჯების გაზრდის გათვალისწინებით გაიზარდოს შერეული და არაკლასიფიცირებული შემოსავლები 15000 ლარით, ჯარიმები და საურავები შემოსავალი 1543660 ლარით, აღნიშნული ცვლილებები აისახოს ბიუჯეტში.

სამსახურების ხელმძღვანელების წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მიზანშეწოლილად ჩაითვალოს ბიუჯეტში დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში შიდა მონაცვლეობა, კერძოდ: მერიის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის წერილის საფუძველზე „ბავშვთა ადრეული განვითარებისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანხმლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა შემცირდეს 10000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა“ 10000 ლარით, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 6030 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 6030 ლარით, ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მომართვის საფუძველზე სამსახურმა მიზანშეწოლილად ჩათვალოს, რომ შემცირდეს გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის (ორგ.კოდი 02 03) არაფინანსური აქტივების მუხლი 40000 ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება (ორგ.კოდი 02 07) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 4600 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს წყლის სისტემის ექსპლოატაცია (ორგ.კოდი 02 02 02) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 12800 ლარით, სასაფლაოების მოვლა - პატრონობა (ორგ.კოდი 02 06 05) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 12350 ლარით და მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა (ორგ.კოდი 03 02) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 19250 ლარით. ასევე,

შემცირდეს დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა (ორგ.კოდი 03 01) 41000 ლარით და გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზრაურება 41000 ლარით, ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის შემცირდეს სხვა ხარჯების მუხლი 2500 ლარით და გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 2500 ლარით.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე**.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიაშვილმა** ასევე აღნიშნა, რომ განხილვის პროცესში დადგა საკითხი აღნიშნულ პროექტს დამატებოდა კიდევ ერთი ცვლილება. კერძოდ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილი საკითხი, რომლის მიხედვით სტიქიის სალიკვიდაციო თანხის ტენდერებიდან მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 62 252 ლარი. აღნიშნული თანხა უნდა მიიმართოს სოფელ ხორეთში ხარების ეკლესიასთან მისასვლელი გზის დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის.

საკრებულოს წევრმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ სოფელ შუხუთში გაზიფიცირების სამუშაოების მიმდინარეობისას დაზიანდა წყლის მილები, რის შედეგადაც მოსახლეობის დაახლოებით 80 %-ს წყალი ნორმალურად არ მიეწოდება. წყალმომარაგების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა სისტემის სრულად მოსაწესრიგებლად. აქედან გამომდინარე, საკრებულოს წევრმა თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, გამოიძებნოს რაიმე საშუალება, რათა დროულად და უმოკლეს ვადაში დასრულდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საკრებულოს წევრის **ამირან გიგინეიშვილის** განცხადებით, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით არც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე არ მიეცა რაიმე ანალიზის გაკეთების საშუალება და ასევე, არც დღევანდელ სხდომაზე, რადგან პროექტს არ ახლავს არანაირი დოკუმენტაცია, რის გამოც მისთვის რთულია შესაბამისი დასკვნის გაკეთება. აქედან გამომდინარე, საკრებულოს წევრი წარმოდგენილ საკითხს არ ეთანხმება.

საკრებულოს წევრი, **იოსებ ჩხაიძე** დაეთანხმა კოლეგას და აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე მათი მხრიდან იყო მოთხოვნა, რომ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტებს თან ახლდეს განმარტებითი ბარათი ჩაშლილი სახით იმის შესახებ, თუ სად და რა კეთდება, რათა საკრებულოს წევრები ფლობდნენ დეტალურ ინფორმაციას და ქონდეთ მუშაობის საშუალება.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მას ელექტრონულად ყოველთვის მიეწოდება სათანადო მასალები და ავტომატურად, საკრებულოს წევრებისთვისაც იქნება გადაგზავნილი შესაბამისი ინფორმაცია. მან კიდევ ერთხელ მიმართა მერიის შესაბამის სამსახურს, დეპუტატებს მიეწოდოთ სათანადო ინფორმაცია, რადგან ისინი უკვე მერამდენედ ითხოვენ ობიექტების ჩამონათვალს. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ საუბარია ქალაქში დაზიანებული ნაპირსამაგრი მონაკვეთების მოწყობაზე. პროექტი მომზადებულია 1 600 000 ლარის ფარგლებში, მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ ათვისებიდან გამომდინარე, პირველ რიგში ჩამორიცხა 1 000 000

ლარი და თუკი იქნება კარგი ათვისება, დანარჩენი 637 000 ლარიც ჩამოვა მუნიციპალიტეტში.

საკრებულოს წევრის **იოსებ ჩხაიძის** თქმით, ცხადია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის შემცირება მოხდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ და ეს გადაწყვეტილება არ მიუღიათ მუნიციპალიტეტის დონეზე, მაგრამ როცა ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციული ცენტრის დაფინანსების შემცირება ხდება 100 000 ლარით, სრულიად შესაძლებელი იყო, რომ ეს გამოთავისუფლებული თანხა გადაეტანათ მუხლიდან მუხლში და საჩუქრის ან დახმარების სახით გადაეცათ ბალის თანამშრომლებისთვის, რომლებიც უდიდესი პასუხისმგებლობის მიუხედავად მუშაობენ მიზერულ ხელფასებზე.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ პანდემიიდან გამომდინარე ცენტრალური ბიუჯეტი შემცირდა 600 000 0000 ლარით, აქედან 1 137 000 ლარი იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წილი, რათა შემცირებულიყო ის დ.დ.გ. რომლის დოტაცისაც სახელმწიფო ვერ გააკეთებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით პრობლემა არ შეექმნება.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებს უნდა წარადგენდეს მუნიციპალიტეტის მერი, როგორც ბიუჯეტის ხარჯვის ყველაზე მეტი გარანტი და პასუხისმგებელი პირი, რომელიც ჩაშლილი სახით ახსნის საკითხს და საკრებულოს წევრებს დეტალურად ჩააყენებს საქმის კურსში. მან უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ის დეპუტატები, ვინც არ არიან საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები, არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას, არადა მათ აქვთ უფლება იცოდნენ სად და რაში იხარჯება თანხები. დეპუტატის თქმით, ეს არის მხოლოდ ციფრები, რომელსაც არ ახლავს არანაირი დეტალური განმარტება. საკრებულოს წევრი სრულიად დაეთანხმა კოლეგას და აღნიშნა, რომ თუკი შეიძლებოდა გამოთავისუფლებული თანხების ადგილმონაცვლეობა, მაშინ ისინი უნდა მოხმარებოდა საბავშვო ბალის თანამშრომლების იმ მიზერული ხელფასების გაზრდას, რომლის ფონზეც უამრავი ბავშვის მოვლა-პატრონობა აკისრიათ. ასევე, მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი თანხის ხარჯზე შეიძლებოდა სკოლებში საპირფარეშოების მოწესრიგება, რადგან თითქმის ყველა სკოლაში ეს პრობლემა ძალიან მწვავედ დგას.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** აზრით, ძალიან კარგი მიდგომა იყო ის, რომ გასულ წელს გაკეთდა პროექტები, რათა მიმდინარე წელს გამოცხადებულიყო ტენდერები. მიუხედავად პანდემიისა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი მოწინავეა, რადგან პროექტები მიდის წესით და რიგით. ამასთან, დაჩქარებული წესით მოხდება წლის განმავლობაში გარდამავალი პროექტების დასრულება. რაც შეეხება 150 000 ლარს, მუნიციპალიტეტის მერს მიაჩნია, რომ ეს კარგი თემა უნდა იყოს, რადგან ადგილობრივ ბიუჯეტში გამოინახა აღნიშნული თანხა, რათა დაიწყონ 2021 წლის პროექტებზე მუშაობა. აქედან, 100 0000 ლარზე მეტი იქნება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებელი თანხა, ხოლო დანარჩენით მოხდება პრობლემური და სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების პროექტების გაკეთება.

შესაბამისად, აღნიშნულ თანხაზე გამოცხადდება ტენდერები და მომზადდება სათანადო პროექტები. მუნიციპალიტეტის მერმა ასევე განმარტა, რომ 41 000 ლარი არის ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ბიუჯეტში შიდა მონაცვლეობა.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე.

მუნიციპალიტეტის მერმა ასევე ყურადღება გაამხავი იმასთან დაკავშირებით, რომ გასულ წელს 6 სკოლა გარემონტდა, სადაც მოწესრიგდა სველი წერტილები, ხოლო მიმდინარე წელს ამ კუთხით 3 სკოლაში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. რაც შეეხება დანარჩენ სკოლებს, სადაც მსგავსი პრობლემებია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ ცხადდება ტენდერები და ყველა სკოლას ექნება მოწესრიგებული სველი წერტილები, რაც აუცილებელი და საჭიროა, რათა ბავშვებს შეექმნათ კომფორტული გარემო.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 3 წევრი (ამირან გიგინეიშვილი, კახაბერ ასკურავა, იოსებ ჩხაიძე).**

**მიღებულ იქნა დადგენილება N11 (28.07.2020)**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსმა **მაგული კუნჭულიამ**. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი 010206002.35.112.016319) უნდა შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„ მუხლი 14. მერის წარმომადგენელი**

1. მერის წარმომადგენელი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი .
2. მერის წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში.
3. მერის წარმომადგენელზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს მერი.
4. მერის წარმომადგენელი:



- ა) მერს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- ბ) მერის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;
- გ) უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- დ) მერის დავალებით ორგანიზებას უწევს დასახლებაში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;
- ე) მერს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ;
- ვ) „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას, ამავე კანონით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის მიზნით;
- ზ) „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვადების დაცვით მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრულ ცნობების გაცემაზე უფლებამოსილ პირს აწვდის ინფორმაციას:
- ზ.ა) დაბადების რეგისტრაციის არსებობის ან სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე ბავშვის დაბადების თაობაზე;
- ზ.ბ) პირის გარდაცვალების თაობაზე.
- თ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრულ ცნობების გაცემაზე უფლებამოსილ პირს ხელს უწყობს ტექნიკური და მეთოდური დახმარების გაწევით შემდეგი ცნობებისა და ოქმების მოსამზადებლად:
- თ.ა) „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის შესახებ;
- თ.ბ) საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ;
- თ.გ) პირის/პირების კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების ფაქტის დადასტურების (გარდა მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით) შესახებ;
- თ.დ) „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 85-ე მუხლის შესაბამისად, მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ;
- ი) მერის წარმომადგენელი პასუხისმგებელია მის მიერ მოწვდილ ყველა სახის ინფორმაციის სისწორეზე;
- კ) მერის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.
5. მერის წარმომადგენელი ანგარიშვალდებულია მერის წინაშე.“

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N12 (28.07.2020)**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, გვიმბალაურის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის N510.83 კვ.მ.; N7-18.03 კვ.მ.; და N8 -8.60 კვ.მ.ფართები; მეორე სართულის N1-71.01 კვ.მ; N3 -49.75კვ.მ.; N4 7.88 კვ.მ; N7-16.01 კვ.მ; N8-156.74 კვ.მ ფართები და მესამე სართულის მთლიანი 161.01 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.08.46.002)) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ა(ა)იპი-ს დირექტორი დავით წერეთელი მიმდინარე წლის 7 თებერვლის N29 მიმართვაში აღნიშნავს, რომ სარგებლობის უფლებით მოთხოვნილი უძრავი ქონება ა(ა)იპი-ს ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად, კერძოდ შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **ლელა ჩახვაძე** დაინტერესდა, თუ რა აუცილებლობას წარმოადგენდა სახელმწიფო მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არასამთავრობო ორგანიზაციის შესახლება, რადგან როგორც მუზეუმის დირექტორი აცხადებს, ეს ხელს შეუშლის უნიკალური ექსპონატების შენახვასა და მათთვის განსაზღვრული წესით მოვლა-პატრონობას.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** პირველ რიგში განმარტა, რომ ეს არის მუნიციპალური და არა სახელმწიფო მუზეუმი. ამასთან, შეთანხმება გაფორმდა ოფიციალურად და მასში ჩართულები იყვნენ როგორც მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური, ასევე ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელობა და არანაირი პრობლემა თავის დროზე არ წარმოქმნილა. ამავე დროს, მუნიციპალიტეტის მხრიდან არანაირ უკანონო ქმედებას ადგილი არ ქონია, რადგან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“-სთვის გადაცემის საკითხი

განიხილა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და არსებობს საკრებულოს დეპუტატთა თანხმობა ფართის უზუფრუქტით სარგებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ფართი დაეთმო ორგანიზაციას, რომელიც გარკვეულწილად მოაწესრიგებს ოთახს და უფასოდ მოემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. აღსანიშნავია, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის ამ ფართში მანამდე განთავსებული იყო შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი.

საკრებულოს წევრის **კახაბერ ასკურავას** თქმით, აღნიშნული პრობლემა არ მოდის მათი მხრიდან, არამედ ეს არის მხარეთმცოდნეობის ხელმძღვანელის პოზიცია, რომელთა განცხადებითაც ხდება მათი შევიწროება და ამის შესახებ ადგილობრივ პრესაშიც დაიწერა. დეპუტატი დაინტერესდა, რამდენად მართებულია ზოგადად, მუზეუმში იურიდიული მომსახურების განთავსება. გარდა ამისა, საკრებულო და მუნიციპალიტეტის მერი საკითხისადმი თავიანთი თანხმობით იღებენ გარკვეულ პასუხისმგებლობას, რომ პრობლემა არ არსებობს და არც სამომავლოდ მოყვება.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, ოთახი არის იზოლირებული და აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი, რის გამოც სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“-ს მუშაობა მუზეუმის ფუნქციონირებას ხელს არანაირად არ შეუშლის.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის **გიორგი ნაჭყებია**ს განმარტებით, აღნიშნული ფართი 7-8 წლის განმავლობაში დაკავებული ქონდა სხვა ა(ა)იპ-ის. ამასთან, ოთახის გადაცემასთან დაკავშირებით აქვთ ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ იურიდიული თანხმობა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 28 საკრებულოს წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინაღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N34 (28.07.2020)**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, 2013 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი. აღნიშნული სამართლებრივი აქტის თანახმად, (რომელიც მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) მუნიციპალიტეტი ვალდებულია გამოყოს ფართი პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის ჯეროვანი გამოყენებისათვის. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ა(ა)იპ „საქართველოს

წითელი ჯვრის საზოგადოებას“ (ს/კ 202051536) ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადასცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე N1 შენობის (ს.კ 27.06.52.141) მეორე სართულზე არსებული 14,38 კვ.მ N16 ფართი).

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 28 საკრებულოს წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინაღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N35 (28.07.2020)**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **ეკა გუჯაბიძემ**. მან აღნიშნა, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვის, პროექტების განხორციელების და მონიტორინგის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმას, რომელიც ორიენტირებულია მოქალაქეთა შესაძლებლობის გაძლიერებისკენ, რათა მათ დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით უპასუხონ ადგილობრივი მნიშვნელობის საჭიროებებს, მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 85-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში. მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ამ კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ასევე განმარტა, რომ გასანაწილებელი საბიუჯეტო სახსრები აისახება მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში. პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს ტერიტორიული, თემატური ან შერეული სახით. მიმდინარე წელს შეირჩა თემატური და ამჟამად იმყოფებიან საინფორმაციო კამპანიის ეტაპზე, უახლოეს დღეებში კი დაიწყება შეხვედრები ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში, რათა მაქსიმალურად მოხდეს მოსახლეობის ჩართულობა აღნიშნული პროექტის განხორციელებაში. იდეების მიღება მოხდება მიმდინარე 3 აგვისტოდან 21 აგვისტოს ჩათვლით, რის შემდეგაც შეირჩევა პროექტები. უკვე პირველი ოქტომბრიდან უნდა დაიწყოს პროცესები, რათა 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში მოხდეს თანხის ასახვა.

ამასთან, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ აღნიშნა, რომ პროგრამის ეფექტიანად განსახორციელებლად საინფორმაციო, საკონსულტაციო და ტექნიკური დამხარების მიზნებისთვის იქმნება საბჭო. აქედან, გამომდინარე, მან თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს უახლოეს სხდომაზე მოხდეს აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, რათა დროულად დაიწყოს შემდგომი პროცესები.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩართულია ამ სისტემაში, საკრებულოს წევრმა **ამირან გიგინეიშვილმა** სურვილი გამოთქვა შევიდეს საბჭოს შემადგენლობაში და მონაწილეობა მიიღოს სამუშაო პროცესში, რის შესახებაც თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 28 საკრებულოს წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინაღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N36 (28.07.2020)**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) **ელიკო იმნაძემ**. მან აღნიშნა, რომ მომზადებულია საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ შესაბამისად. „სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს“ ემატება „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელით-განყოფილების უფროსი და მესამე რანგის პირველი კატეგორიის 4 ერთეული უფროსი სპეციალისტით.

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და მისი დაფინანსება შესაძლებელია სახელფასო ფონდის ფარგლებში.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **ლელა ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ მიესალმება ასეთი სტრუქტურის შექმნას, მაგრამ ეს ძალიან სენსიტიური თემაა. აქედან გამომდინარე, დეპუტატი დაინტერესდა, რა წესით მოხდება კადრების შერჩევა.

მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) **ელიკო იმნაძემ** განმარტა, რომ კანონი ითვალისწინებს შიდა და გარე კონკურსს. შიდა კონკურსის შემთხვევაში მუნიციპალიტეტს შეუძლია შიგნით, თავის რესურსში მოიძიოს ისეთი თანამშრომლები, რომელთაც აქვთ სურვილი დასაქმდნენ ამ ტიპის სტრუქტურში. გარე კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში კი,

როგორც ყველა საჯარო პოზიციაზე მოხდა პროფესიული მოხელეების მიღება, სწორედ იმავე მეთოდით თავისი ვადების შესაბამისად, იქნება გამოცხადებული პირობები, რასაც ითვალისწინებს კანონი.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის აზრით, შიდა კონკურსის ჩატარება არ იქნება სწორი მიდგომა და პირადად ემხრობა გარე კონკურსის გამოცხადებას, რადგან ამ შემთხვევაში ყველა მსურველს შეეძლება მიიღოს მასში მონაწილეობა, რაზეც მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ერთგვარად დაეთანხმა, მაგრამ ამასთან აღნიშნა, რომ შეიძლება შიგნითაც იყოს შესაბამისი რესურსი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 28 საკრებულოს წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინაღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N37 (28.07.2020)**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) **ელიკო იმნაძემ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

**თავი I**

**ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური**

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება განისაზღვრება ამ დებულებით.

2. სამსახურს აქვს ბლანკი და ბეჭედი სამსახურის სრული სახელწოდების აღნიშვნით.

3. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

4. სამსახურის მისამართია ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. №37.

**თავი II**

**სამსახურის შემადგენლობა**

**მუხლი 2. სამსახურის შემადგენლობა**

სამსახურის შემადგენლობაში შედის:

ა) სამსახურის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ბ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ) სამსახურის საჯარო მოსამსახურეები- პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტები.

### თავი III

#### სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

#### მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახურის ფუნქციებია:

ა) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და კოორდინაცია; ბ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება;

გ) დასაქმების მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია;

დ) სოციალური დაცვის მუნიციპალურ დაწესებულებათა ზედამხედველობა;

ე) თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ვ) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მასზე სოციალური გავლენის პირობების შესწავლა და შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვა;

ზ) სამზრუნველო ქსელის განვითარება, თავშესაფრების მოწყობის ორგანიზება და მოსახლეობის სოციალური ადაპტაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;

თ) მოსახლეობის შრომითი მოწყობის და უმუშევართა დახმარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების მომზადება და დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელება;

ი) ღონისძიებათა დაგეგმვა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ;

კ) იმ პირთა აღრიცხვა, რომელთა დახმარებაც ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

ლ) შრომის ბაზრის ანალიზი და შესაბამის წინადადებათა მომზადება;

მ) ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ ინფორმაციის მოძიება და აღრიცხვა;

ნ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების აღრიცხვა და მათთან მუშაობის ორგანიზება;

ო) საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული ბავშვის უფლებების დაცვის ღონისძიებების განხორციელება, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;

პ) საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული ბავშვის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში;

ჟ) ბავშვის მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამების მომზადება, მათი განხორციელება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;

რ) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის სოციალური მუშაკის ქსელის შექმნა და სამოქმედო უბნების განსაზღვრა;

ს) ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მიზნით კოორდინირებული მუშაობა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან,

ტ) არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

უ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენა,

შესაბამისი ოქმების შედგენა, სახდელის შეფარდება ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნა.

ფ) ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამების განხორციელების მიზნით შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევის, მათი რეგისტრაციის და სახელმწიფო პირობების განსაზღვრის პროცესის უზრუნველყოფა;

ქ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება; ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და წარმოება;

ღ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

#### **მუხლი 4. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება**

1. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდგომში - განყოფილება) არის მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით შექმნილი, მეორადი სტრუქტურული ერთეული.

2. განყოფილების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება, ეს დებულება და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

3. განყოფილების ფუნქციებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროში წარმოადგენს:

ა) საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული ბავშვის უფლებების დაცვის ღონისძიებების განხორციელება, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;

ბ) საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული ბავშვის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში;

გ) ბავშვის მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამების მომზადება, მათი განხორციელება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;

დ) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის სოციალური მუშაკის ქსელის შექმნა და სამოქმედო უბნების განსაზღვრა;

ე) ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მიზნით კოორდინირებული მუშაობა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან,

ვ) არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

ზ) ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამების განხორციელების მიზნით შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევის, მათი რეგისტრაციის და სახელმწიფო პირობების განსაზღვრის პროცესის უზრუნველყოფა;

თ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება; ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და წარმოება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებები.

4. განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:



ა) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობას;

ბ) საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობას; გ) მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით განყოფილების ფუნქციების, ამოცანებისა და საქმიანობის მნიშვნელობის განმარტებას;

5. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემა ეფუძნება საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპს.

6. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი.

7. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი არის განყოფილების საჯარო მოსამსახურე, რომელიც:

ა) ახორციელებს ბავშვის მდგომარეობის შეფასებას ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასების სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით.

ბ) შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას ინტერდისციპლინური განხილვის საფუძველზე;

გ) უზრუნველყოფს ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმით დადგენილი მომსახურებებისადმი ბავშვის ხელმისაწვდომობას;

დ) კოორდინაციას უწევს სამოქმედო გეგმის აღსრულების პროცესს ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებაზე უფლებამოსილ სუბიექტებთან თანამშრომლობით;

ე) საქმის წარმოების ერთიანი სისტემის გამოყენებით მონიტორინგს უწევს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების პროცესს და ადგენს ანგარიშს;

ვ) საგანმანათლებლო-აღმზრდელობით, კულტურისა და სასპორტო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ გაერთიანებებთან და სხვა ბავშვის თემებზე მომუშავე დაწესებულებებთან და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების თაობაზე;

ზ) ახორციელებს მისთვის დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. ბავშვის ფსიქოლოგი არის განყოფილების საჯარო მოსამსახურე, რომელიც:

ა) მონაწილეობს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოების ფარგლებში ინტერდისციპლინური განხილვის პროცესში;

ბ) ადგენს ბავშვის მენტალურ ჯანმრთელობას, სწავლობს მის ქცევას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;

გ) საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპის გათვალისწინებით და მეუღლეების თანხმობით ახორციელებს ახალშექმნილი ოჯახის მხარდაჭერას შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში. აღნიშნული სერვისის განხორციელების მიზნით ბავშვის ფსიქოლოგი ბავშვისა და ოჯახის სოციალურ მუშაკთან ერთად, გარკვეული პერიოდულობით ახდენს ბენეფიციარის ოჯახში ვიზიტს;

დ) ახორციელებს მისთვის დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

9. ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი არის განყოფილების საჯარო მოსამსახურე, რომელიც:

ა) მონაწილეობს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოების ფარგლებში ინტერდისციპლინური განხილვის პროცესში;

ბ) ადგენს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განსახორციელებელი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების შესახებ;

გ) საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპის გათვალისწინებით და ოჯახის თანხმობით ახორციელებს ოჯახის მხარდაჭერას შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, ქალის ორსულობის პერიოდში და მშობიარობიდან 1 წლის

განმავლობაში. აღნიშნული სერვისის განხორციელების მიზნით ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი ბავშვისა და ოჯახის სოციალურ მუშაკთან ერთად, გარკვეული პერიოდულობით ახდენს ბენეფიციარის ოჯახში ვიზიტს;

დ) ახორციელებს მისთვის დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

10. განყოფილების სამართლებრივ დახმარებას უზრუნველყოფს მერიის იურიდიული სამსახურის საჯარო მოსამსახურე-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

11. განყოფილების საქმიანობა განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

#### **მუხლი 5. ბავშვთა დაცვის ინსპექტორი**

ბავშვის დაცვის ინსპექტორი (შემდგომში - ინსპექტორი) არის შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურე, რომელიც ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და კანონიერების პრინციპებზე დაყრდნობით ზედამხედველობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულებას. ინსპექტორის უფლებამოსილებებია:

ა) საჯარო სივრცეში ბავშვის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა;

ბ) საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ბავშვის ჯგუფური ტრანსპორტირების წესების და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირების (ღონისძიების ორგანიზატორი) მიერ საკუთარი ვალდებულებების დაცვაზე ზედამხედველობა;

გ) ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის შემცველი ბეჭდური მედიის გავრცელების წესების დაცვაზე ზედამხედველობა;

დ) საჯარო კინოჩვენებებზე და ღამის კლუბებში ბავშვის დაშვების წესების დაცვაზე ზედამხედველობა;

ე) ჩაწერილ ფილმებზე ხელმისაწვდომობის სამართლებრივ შეზღუდვების დაცვაზე ზედამხედველობა;

ვ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა თრობის საშუალებების, ალკოჰოლის შემცველი სასმელის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმის ან კაფსულების ბავშვისათვის უსასყიდლო ან სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვაზე ზედამხედველობა.

#### **თავი IV**

#### **სამსახურის მართვა, სამსახურის მოხელეები და მათი უფლება-მოვალეობები**

#### **მუხლი 6. სამსახურის მართვა**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი-პირველადი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი;

2. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) მერს წარუდგენს წინადადებებს თანამშრომელთა მორიგი და დამატებითი შვებულების, მივლინების, წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

დ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სამსახურის თანამშრომლების მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას;

ე) პერიოდულად ისმენს თანამშრომელთა ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ვ) სამსახურის საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს;

- ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;
  - თ) შუამდგომლობს სამსახურის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით;
  - ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს მერის ცალკეულ დავალებებს;
  - კ) ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია მერის წინაშე;
4. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს განყოფილების უფროსი, ხოლო მისი არყოფნისას სამსახურის ერთ-ერთი მოხელე მერის დავალებით.
5. განყოფილების უფროსი:
- ა) ანაწილებს ფუნქცია-მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული განყოფილების თანამშრომლებს შორის და აძლევს მათ სათანადო მითითებებს და დავალებებს;
  - ბ) ზედამხედველობას უწევს განყოფილების თანამშრომლებს მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას;
  - გ) ხელს აწერს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტაციას;
  - დ) სამსახურის უფროსს აბარებს განყოფილების მუშაობის ანგარიშს;
  - ე) წარმოადგენს განყოფილებას საკუთარი მოვალეობების შესრულებისას, განყოფილების სახელით იძლევა სათანადო დასკვნებს;
  - ვ) ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე;
6. განყოფილების უფროსის არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მოხელე.

#### **მუხლი 7. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები**

1. სამსახურის საჯარო მოსამსახურე არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე. 2. სამსახურის საჯარო მოსამსახურეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

#### **მუხლი 8. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები**

1. სამსახურის მოხელეებს უფლება აქვთ:

- ა) უშუალო ხელმძღვანელს წარუდგინონ წინადადებები მათი საქმიანობის სრულყოფის თაობაზე;
- ბ) მიიღონ მათი მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები;
- გ) ისარგებლონ საჭირო სამართლებრივი აქტებით, საინფორმაციო და სხვა მასალებით;
- დ) დააყენონ უშუალო ხელმძღვანელის წინაშე საკითხი მოსამსახურეთა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ;
- ე) დადგენილი წესით ისარგებლონ ორგანიზაციული, გასამრავლებელი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით, სხვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით;
- ვ) ისარგებლონ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის სხვა უფლებებითა და გარანტიებით.

2. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები ვალდებული არიან:

- ა) ზუსტად შეასრულონ და დაიცვან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით განსაზღვრული მოვალეობანი;
- ბ) დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელების დავალებები;
- გ) შესაბამისი საფუძვლის არსებობისას დაიცვან საიდუმლოების რეჟიმი;
- დ) იმუშაონ თავისი პროფესიონალური მომზადების დონის ასამაღლებლად;
- ე) განუხრელად შეასრულონ დადგენილი შრომის შინაგანაწესის მოთხოვნები;
- ვ) გაუფრთხილდნენ მათ სარგებლობაში არსებულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკას, ინვენტარსა და სხვა სახაზინო ქონებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 28 საკრებულოს წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინაღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N38 (28.07.2020)**

### **სხვადასხვა საკითხები:**

საკრებულოს წევრის **ამირან ქანთარას** თქმით, საკრებულოს წინა სხდომაზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასა და შესაბამისი სამსახურის უფროსთან ერთად შეთანხმდნენ, რომ დასუფთავდებოდა კლინიკა „ჯანმრთელობა“-სთან მიმდებარე სკვერი, რადგან ეკალ-ბარდს მიაქვს იქაურობა. ეს ტერიტორია გაყოფილია სამ ნაწილად, საიდანაც ორი ნაწილი არის სკვერი და ერთი მონაკვეთი არის კერძო. გარდა ამისა, საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის თქმით, დაახლოებით თვენახევრის წინ საავტომობილო გზების დეპარტამენტში გააგზავნეს წერილი ავტობანთან დამაკავშირებელ მიმდებარე გზაზე წყვეტილი ხაზის გაკეთებასთან დაკავშირებით, რადგან შუქნიშნის დამონტაჟებაზე თქვეს უარი. დეპუტატს დაინტერესდა, მიიღეს თუ არა პასუხი, რადგან აღნიშნული პრობლემის გამო მძიმე პაციენტები ფაქტიურად ვერ მიდიან კლინიკაში.

მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** გარკვეულ წილად დაეთანხმა საკრებულოს წევრს, რადგან გზის ამ მონაკვეთზე არამარტო კლინიკასთან, არამედ რამდენიმე ობიექტთან მართლაც იქმნება უხერხული და პრობლემური სიტუაციები, მაგრამ საკრებულოს წინა სხდომაზე გააკეთა ამის შესახებ განმარტება და ეს საოქმო ჩანაწერში დაფიქსირებულია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მხრიდან მოვიდა საპასუხო წერილი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ მონაკვეთზე წყვეტილი ხაზის გაკეთება გამოიწვევს დამატებით საავარიო სიტუაციების შექმნას. რაც შეეხება სკვერის დასუფთავებას, ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როგორც მისთვისაა ცნობილი, აღნიშნული ტერიტორიის 70 % არის კერძო საკუთრება - ორი ნაწილი ეკუთვნის შპს „სუფსა“-ს.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** ისაუბრა გვარჯალაძისა და გორგასლის ქუჩების კვეთაზე მდებარე მრავალბინიან კორპუსებთან მიმდებარე ტერიტორიის საშინელ მდგომარეობასთან დაკავშირებით. მართალია, რომ ეს კორპუსები თავიდან გადაიხურა და მხოლოდ ერთი ბინაა დარჩენილი, მაგრამ შიდა ინფრასტრუქტურა ძალიან მოუწესრიგებელია, რის გამოც ძლიერი ნალექის შემდეგ ბავშვები და ზოგადად,

მოსახლეობა ვერ ჩამოდის ეზოებში. ასევე, მოსაწესრიგებელია მიმდებარე გზები. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თქმით, გამოყოფილი თანხა პრობლემის მოსაგვარებლად ნამდვილად არ იქნება საკმარისი და ამაზე ყველა თანხმდება, მაგრამ ამ ეტაპისთვის დაპროექტების დაწყება ხელს შეუწყობს საქმის უფრო დროულად დასრულებას.

ამის შემდეგ, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა მაწანწალა ძაღლების თემაზე და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში მათმა რაოდენობამ კატასტროფულად მოიმატა. ასევე გახშირდა ქუჩის ძაღლების მიერ მოქალაქეების დაკბენის ფაქტები.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, მიუსაფარი ძაღლების საკითხი მოუგვარებელი თემაა. მუნიციპალიტეტმა გამოყო თანხა, გამოცხადდა ტენდერი და მოხდა ძაღლების გაყვანა, მაგრამ ნაწილი დაბირკული ცხოველებისა დააბრუნეს უკან. დღევანდელ სხდომაზე განხილული ბიუჯეტის ცვლილების პროექტშიც გაზრდილია უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებისათვის თანხა 10000 ლარით, რათა კვლავ გამოცხადდეს ტენდერი და მოხდეს მაწანწალა ძაღლების გაყვანა.

საკრებულოს წევრმა **გოდერძი ქურიძემ** აღნიშნა, რომ იმედაიშვილების უბანში შემოსასვლელში დაიგო 40 მეტრამდე მონაკვეთი, მაგრამ გასაკეთებელია დაახლოებით 350 მეტრამდე სიგრძის გზა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ წინა დღეებში ადგილზე იყვნენ ასულები მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები. პროექტი უკვე მზადაა და როდესაც სრულად მომზადდება სტიქიით დაზიანებული ობიექტების პროექტები, შესაბამისად, სარეაბილიტაციო სამუშაოებიც დაიწყება, მაგრამ მაჩხვარეთში საუბარია მხოლოდ იმედაიშვილების უბანზე.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე** გამოეხმაურა მიუსაფარი ძაღლების თემას და აღნიშნა, რომ 5000 ან 10000 ლარით ეს პრობლემა არ გადაწყდება, რადგან ხდება ცხოველების უკან დაბრუნება. სამომავლოდ უნდა იფიქრონ და აუცილებელიცაა გურიაში ძაღლების თავშესაფრის გაკეთება. ამის შემდეგ, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმასთან დაკავშირებით, რომ წინა მოწვევის საკრებულოს დროს, სულ მცირე-100 მეტრიანი გზის მონაკვეთის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ძალიან ხშირი იყო მადლობების გადახდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისადმი. დღევანდელ დღეს მუნიციპალიტეტში, თუნდაც მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე ტარდება ძალიან დიდი მოცულობითი სამუშაოები, მოასფალტდა არაერთი ქუჩა, ჩატარდა მრავალი ნაპირსამაგრი სამუშაო. ასევე, რად ღირს სპორტული აკადემიის

მშენებლობა და სხვა მრავალი პროექტის განხორციელება. დეპუტატი დაეთანხმა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ დასმულ საკითხს შიდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორია საკრებულოს თითოეული წევრის სახეა და გასაკეთებელიც ძალიან ბევრია. ამიტომ, აუცილებლად უნდა მოხდეს გარკვეული თანხების მობილიზება და მიიმართოს ამ საკითხის გადასაჭრელად.

ამის შემდეგ, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შეეხო ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის საქმიანობას და აღნიშნა, რომ მათ მიერ ნამდვილად შიშველი ხელებით ხდება ზღვის სანაპიროს დასუფთავება, რაც უდავოდ, შრომატევადი სამუშაოა. დეპუტატის თქმით, აუცილებელია დაეხმარონ ამ ადამიანებს, რასთან დაკავშირებითაც თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს, რათა მეზობელი მუნიციპალიტეტიდან მოხდეს სილის საცრელი აგრეგატის თხოვება და შეუმსუბუქონ ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის თანამშრომლებს შრომატევადი საქმიანობა.

მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** დაეთანხმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა, რადგან ზღვას ყოველდღიურად გამოაქვს ნარჩენები. ამიტომ იქ 24 საათის განმავლობაში, ყოველდღე 15-20 კაციანი ბრიგადა მუშაობს. ასევე, გარკვეულ დღეებში ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის თანამშრომლები, 100-120 კაცი ჩადის, რათა მოაწესრიგონ სანაპირო ზოლი. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, სწორედ აღნიშნულ საკითხზე ესაუბრა ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას, რათა ითხოვონ ეს ტექნიკა, რადგან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში თავად ესაჭიროებათ. პირადად არ არის ჩახედული ამ საკითხში, მაგრამ როგორც ექსპერტები ამბობენ, თურქეთში მოხდა დიდი შტორმი, რის გამოც იქედან წამოღებული ნარჩენები მოაწყდა მუნიციპალიტეტის ზღვის სანაპიროს. სწორედ ამის გამოა ეს გამოწვეული, რასთან გამკლავებაც ფიზიკურად ნამდვილად ძალიან რთულია. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, საკითხი გადაწყდება და სავარაუდოდ, დღესვე ეს ტექნიკა წამოვა მუნიციპალიტეტში. გარდა ამისა, წინა დღეებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებთან ქონდა საუბარი დამატებით 150 ურნაზე, ნაგავდამჭერსა და მის გამწმენდ მოწყობილობაზე, ასევე, სილის საცრელი ტექნიკისა და სამი ნაგავმზიდი მანქანის შესახებ. შეიძლება ეს მიმდინარე წელს ვერ მოხერხდეს, მაგრამ არის დაპირება, რომ 2021 წელში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული, რადგან ამას ჭირდება შეკვეთა, ჩამოტანა და შესაბამისად, მომავალ წელს ეს ტექნიკა ჩამოვა მუნიციპალიტეტში.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** ყურადღება გაამახვილა პრობლემაზე, რომლის მოგვარებასაც, მისი თქმით, თანხა არ ჭირდება. კერძოდ, კომპანია „სოკარი“ ატარებს მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების სამუშაოებს, რითაც ძალიან კარგი საქმე

კეთდება, მაგრამ აცანაში გაზიფიცირების შემდეგ განკარგვას მოახდენს ოზურგეთი, ხოლო სუფსას მოემსახურება ფოთის სერვის-ცენტრები. საკრებულოს წევრმა მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რატომ არ მიმართავენ კომპანიას და არ უხსნიან, რომ აცანა და სუფსა ტერიტორიულად ეკუთვნის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს და ამ სოფლებს მომსახურებას არ უნდა უწევდეს ოზურგეთის და ფოთის მუნიციპალიტეტები, მით უმეტეს, რომ ლანჩხუთში ფუნქციონირებს შესაბამისი სერვის-ცენტრი. გარდა ამისა, დეპუტატის აზრით, ასეთმა მიდგომამ ერთ დღესაც შეიძლება გამოიწვიოს მუნიციპალიტეტში ამ კუთხით კადრების შემცირება.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განცხადებით, მუნიციპალიტეტში კომპანიის ადგილობრივი წარმომადგენელი უნდა დაინტერესდეს ამ საკითხით. საკრებულოს წევრი თუ საკადრო საკითხზე საუბრობს, ამაში შეიძლება დაეთანხმოს, მაგრამ სხვა კუთხით მუნიციპალიტეტის მერი პრობლემას ვერ ხედავს. სოკარი არის კერძო კომპანია, რომელიც ნორმალურად ემსახურება მოსახლეობას, ხოლო რა პოლიტიკა აქვს კომპანიას ამასთან დაკავშირებით, მისთვის უცნობია და საკითხს აუცილებლად მოიკითხავს, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერი აღნიშნულთან დაკავშირებით სადაოსაც ვერ ხედავს.

ამის შემდეგ, საკრებულოს წევრი **კახაბერ ასკურავა** შეეხო ავტობანის თემას და აღნიშნა, რომ გზის გაკეთებას მიესალმება და ძალიან კარგია. ასევე, დეპუტატის თქმით, ავტობანი ლანხუთზე რომ გადის, ამაში პატარა წვლილი მასაც მიუძღვის, მაგრამ ის, რაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გააკეთა და ამ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა არაფერ შუაშია, მისი აზრით არასწორია და საქმის გაკეთებას არ ნიშნავს, რადგან არც ერთ მუნიციპალიტეტში აღმოსავლეთ საქართველოდან მომავალი მანქანების ნაკადი ქალაქის ცენტრში არ გადის.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** პირველ რიგში აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჭინათში არის წმინდა კვირიკეს სახელობის ტაძარი და სწორედ დღეს არის კვირიკობის დღესასწაული, რომელიც მიულოცა დარბაზში მყოფთ. ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ თავის გამოსვლებში საუბრობს როგორც სოფლის პრობლემებზე, ასევე მადლობასაც არ იშურებს კარგი საქმისთვის, რადგან მართლაც ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. ამჟამად, მიმდინარეობს წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ამ ეტაპისთვის ძალიან კმაყოფილია სოფლის მოსახლეობის ის ნაწილი, სადაც უკვე მოწესრიგდა წყლის მიწოდება, მაგრამ მიმდინარეობს სამუშაოები და იმედი აქვს, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ზედამხედველობით საქმე ბოლომდე იქნება მიყვანილი.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, სოფელ ლესაში მიმდინარე წელს უნდა დახრჯულიყო 365000 ლარი, ხოლო 2021 წლისთვის დანარჩენი 300000 ლარი, მაგრამ ვინაიდან კომპანია ძალიან ნორმალურად ატარებს სამუშაოებს, ამიტომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

სამინისტროს მიერ წელსვე ჩამორიცხება ეს 300000 ლარი და დასრულდება მიმდინარე სამუშაოები წლის ბოლომდე.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** ასევე შეეხო სოფელში საექიმო უბანთან დაკავშირებულ პრობლემას და აღნიშნა, რომ ამბულატორია იმყოფება უმძიმეს მდგომარეობაში და არაა გამორიცხული ამ ზამთარში საერთოდ დაინგრას. ეს საკითხი მუნიციპალიტეტის მერის ჩართულობის გარეშე ვერ გადაწყდება, ამიტომ საკრებულოს წევრმა მიმართა თხოვნით, რათა მუნიციპალიტეტის მერმა გაუწიოს შესაბამის სტრუქტურებთან შუამდგომლობა აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. გარდა ამისა, დეპუტატის თქმით, ლესის ცენტრში აუცილებლად გასაკეთებელია მოსაცდელი და ამასთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდა სოფლის მოსახლეობის განცხადება. ასევე, ესაჭიროებათ ნაგვის ერთი ურნა. ამასთან, საკრებულოს წევრმა ყურადღება გაამახვილა ლესაში ნაწული ფაღაფა ოჯახის პრობლემაზე, სადაც ცხოვრობს ორი მოხუცი ადამიანი. მართალია, ერთხელ მუნიციპალიტეტის მიერ უკვე გაიწმინდა ღელე, რადგან სახლში შედიოდათ წყალი, მაგრამ ამჟამად დაზიანებულია ქუჩიდან სახლამდე გადასასვლელი ხიდი, რის გამოც ფაქტიურად ვერ შედიან ეზოში.

გარდა ამისა, საკრებულოს წევრის **ელისო ჭიჭინაძის** თქმით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლებმა შესჩივლეს, რომ „მიქაუტაძეების“ მაღაზიასთან დგას ავტობუსების გაჩერების ნიშანი. აინტერესებთ-ეს ნიშნავს იმას, რომ აქ უნდა გაჩერდეს ავტობუსები თუ მუნიციპალური ტრანსპორტი, მაგრამ ეს ნიშანი ფაქტიურად ტყუილად დგას, რადგან წარმოუდგენელია დაახლოებით 20 კვ, მეტრ ფართობზე როგორ უნდა გაჩერდეს მუნიციპალური ავტობუსი. მას ასევე აინტერესებს, როგორც მოქალაქეს და დეპუტატს, თუ რის მიხედვით განისაზღვრება მძღოლების მიერ ყოველთვიური შენატანი თანხის რაოდენობა და როგორ ხდება მათი განკარგვა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** პირველ რიგში აღნიშნა, რომ დასრულდა ტენდერი 8 500000 ლართან დაკავშირებით და მიმდინარე წელს უკვე დაიწყება ლესის, მე-3 საჯარო სკოლის და გულიანის არასრული სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. რაც შეეხება მუნიციპალურ ტრანსპორტს, ამასთან დაკავსირებით, განმარტა, რომ წინა დღეებში მერიის ზედამხედველობის სამსახურთან ერთად იმყოფებოდა ავტობუსების გარემოს მოსაწესრიგებლად. მიკროავტობუსები, რომლებიც ყიდიან ხილ-ბოსტნეულს, გადაყვანილები იქნენ უკანა მხარეს. ასევე, შეხვდნენ შპს „ავტო“-ს, რომელიც არის ავტოსადგურის მფლობელი, რომელთაც განაცხადეს, რომ წლების წინ გამოუყვეს გარკვეული ფართი, რის შესახებაც აქვთ შესაბამისი დოკუმენტაცია, მაგრამ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურთან ერთად შეხვედრისას აღმოჩნდა, რომ საბუთებს გაუვიდათ ვადა, რის შემდეგაც მათ თავიდან უნდა შემოიტანონ განაცხადი, საუბარია დაახლოებით 200 კვ. მეტრზე. შესაბამისად, იქ მოხდება მიკროავტობუსების განთავსება. რაც შეეხება შენატან თანხას, მისთვის უცნობია, თუ რა რაოდენობის თანხა შეაქვს აღნიშნულ შპს-ს. ხოლო მუნიციპალურ ტრანსპორტს, რამდენადაც მუნიციპალიტეტის მერისთვისაა ცნობილი, დაკისრებული აქვთ ძალიან მიზერული თანხის გადახდა. მიუხედავად მცირე



შენატანისა, პანდემიის პირობებში, მისი პირდაპირი დავალებით, მძღოლები გათავისუფლდა ყველანაირი გადასახადისგან.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** მოსაზრება გამოთქვა, ქალაქის ტერიტორიაზე მოეწყოს პარკირების ზონები და დაწესდეს სიმბოლური გადასახადი, რაც ხელს შეუწყობს საცობების განტვირთვას.

საკრებულოს წევრი, **იოსებ ჩხაიძე** შეეხო ქალაქისთვის ძალიან დიდ პრობლემას-საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებას და აღნიშნა, რომ ავტობანის პროექტის პრეზენტაციის დროს ეს პრობლემა მუნიციპალიტეტის მესვეურებმა ადგილობრივი პრობლემის ჭრილიდან გადაიტანეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხად. შესაბამისმა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, მოგვარებულიყო ეს თემა ავტობანის გახსნამდე, რადგან ძალიან საგანგაშო მდგომარეობაა და აუცილებლად სასწრაფოდ უნდა მოწესრიგდეს. საკრებულოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ აღმაშენებლის ქუჩაზე გაკეთებული ზებრა გადასასვლელი იწყება ტროტუარიდან და მთავრდება სანიაღვრე არხთან, რაც აუცილებლად ყურადღება მისაქცევია, რადგან შეიძლება რაიმე შემთხვევა მოყვეს და ვინმე დაშავდეს.

**ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

